# შესაგებელი ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

თბილისის საქალაქო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
შემოსვლის თარიღი 28.12.18
შემომტანი პირი [illegible]
შემოსვლის № 2789698
ფურცლების რაოდენობა 873. 03

| საქმე №3/5265 18 | ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივა | თამარ მეშველიანი |
|---|---|---|
| | მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება) | მოსამართლის სახელი და გვარი |

**მოპასუხე:** *შენიშვნა-1*

| საქართველოს მთავრობა | X | ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. N7 |
|---|---|---|
| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენტ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი) |

| X | X |
|---|---|
| ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2* | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| X | X | X | X | X |
|---|---|---|---|---|
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

**მოპასუხის წარმომადგენელი:** *შენიშვნა-3*

| ლალი თევდორაშვილი | 01023008549 | X |
|---|---|---|
| სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |

| X | ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. N7 |
|---|---|
| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| X | 299 09 00 | 597 222 332 | X | ltevdorashvili@gov.ge |
|---|---|---|---|---|
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

**საკონტაქტო პირი:** *შენიშვნა-4*

| ლალი თევდორაშვილი | X | 597 222 332 | ltevdorashvili@gov.ge |
|---|---|---|---|
| სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა |

*შენიშვნა-5*

*ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.*

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგვიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*
*სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

| | |
|---|---|
| X | სახით: |

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

| X | X | X |
|---|---|---|
| სახელი, გვარი | პირადი ნომერი | იურიდიული მისამართი |

| X | X |
|---|---|
| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| X | X | X | X | X |
|---|---|---|---|---|
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

*შენიშვნა-7*

## ცნობთ თუ არა სარჩელს?

| | |
|---|---|
| დიახ | ☐ |
| არა | ☒ |
| ნაწილობრივ | ☐ |

*შენიშვნა-8*

## მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
X

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
X

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები
X

მტკიცებულება:
X

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
X

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - ნაწილობრივ ვეთანხმები

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივის მიერ N23803 ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილი იქნა 2018 წლის 23 ივლისს.

მტკიცებულება:
X

## დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება
X

მტკიცებულება:
X

2. ფაქტობრივი გარემოება
X

მტკიცებულება:
X

X

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | რის საფუძველზე? |
| **არა** | ☒ | |

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | რის საფუძველზე? |
| **არა** | ☒ | |

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | რომელი საფუძვლით? |
| **არა** | ☒ | |

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | რომელი საფუძვლით? |
| **არა** | ☒ | |

შენიშვნა-19

## მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

საქართველოს მთავრობის მიმართ მოსარჩელე ითხოვს საქართველოს მთავრობის ვირტუალური ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივის ადმინისტრაციული საჩივარი „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩოლაბურის ხიდი - თერჯოლა - ტყიბულის საავტომობილო გზის მე-8 კმ - რუფოთი - ალისუბანი - საზანო - თუზი - ქვაციხე - კიცხის საავტომობილო გზის 21-ე კმ-ზე, მდ. ბუჯაზე ახალი სახიდე გადასასვლელი"-ს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 26 აპრილის N2-292 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მიგვაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არის დაუსაბუთებელი და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძვლები, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოგეხსენებათ, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი და სასარჩელო განცხადება მთლიანად აგებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველ ნაწილის გამოყენების უკანონობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მომენტის დასადგენად გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით გაკეთდეს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის, „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონისა და „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 მაისის N28 ბრძანების სისტემური, შინაარსობრივი ანალიზი.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების მიერ განსახორციელებელი საქმიანობა მიეკუთვნება ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას.
„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამინისტრო, „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოფს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ წარდგენილ შესაბამის დოკუმენტაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებას, რის საფუძველზეც დგება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.
„ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 მაისის N28 ბრძანების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა წარმოადგენს საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის საფუძველს. ამავე ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება ხორციელდება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდეგ, რომლის შესაბამისადაც სავალდებულო წესით წარსადგენი ერთ-ერთი დოკუმენტია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად შედგენილი გზშ-ს ანგარიში.
„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გზშ-ს ანგარიში დგება გზშ-ს შედეგად, რისთვისაც ამავე კანონის მე-6 მუხლით შესაბამისად საქმიანობის განმახორციელებელი ახორციელებს გზშ ანგარიშის საჯარო განხილვას. ამასთან, საქმიანობის განმახორციელებელი სავალდებულო წესით ნებართვის გამცემ ორგანოს (სამინისტროს) აწვდის ინფორმაციას საჯარო განხილვის თაობაზე და წარუდგენს გზშ-ის ანგარიშს, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით მომზადებულ ტექნიკურ რეზიუმეს და არატექნიკური რეზიუმეს დოკუმენტურ და ელექტრონულ ვერსიებს. ასევე, უზრუნველყოფს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სხვა დაინტერესებული ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენელთა წერილობითი მიწვევას.
მითითებული მუხლების ცხადყოფს, რომ ნებართვის გაცემა შედგება არაერთი ეტაპისგან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. აღნიშნული მუხლისა და ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი კანონებისა და შესაბამისი მუხლების ანალიზი ცალსახად ცხადყოფს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული აქტის გამოცემისათვის ადმინისტრაციულ წარმოებას იმ მომენტიდან იწყებს, როდესაც იგი საქმიანობის განმახორციელებლისგან იღებს „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას და ინფორმაციას.
ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და ინფორმაცია ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენილი იქნა 2018 წლის დეკემბრის თვეში, მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველ პუნქტის საფუძველზე, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვის იქნა გამოცემული.
რაც შეეხება, უშუალოდ საქართველოს მთავრობის მოთხოვნის მიმართ წარმოდგენილი მოთხოვნის ნაწილში ჩვენ პოზიციას, აღნიშნულზე მოგახსენებთ შემდეგს:

ვინაიდან, ა(ა)იპ - მწვანე ალტერნატივის მიერ წარმოდგენილი N23803 ადმინისტრაციული საჩივარი, წარმოადგენს 2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველმა ადმინისტრაციულმა ორგანომ იხელმძღვანელა „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით სადავო საკითხებზე საქმიანობის განმახორციელებელს ეძლევა უფლება მიმართოს სასამართლოს. მითითებული მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ ერთ შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებს აქვს სასამართლოში დავის უფლება, ხოლო მეორე შემთხვევაში, მესამე პირის მიერ ანალოგიური დავის წარმოების შემთხვევა მოწესრიგებული არ არის. ვინაიდან, საქმიანობის განმახორციელებელს "ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად უფლება აქვს, ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე იდავოს სასამართლოში, აღნიშნული განმარტებული იქნა კანონმდებლის იმგვარ ნებად, რომ ზოგადად ამ საკითხებზე არსებული დავები განხილული იქნეს სასამართლოს მიერ. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, მესამე პირის - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივის“ მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარიც, რომელიც ფაქტობრივად შეეხება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებულ საკითხებს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ მიჩნეული იქნა, სასამართლოს მიერ განსახილველ საქმედ.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

## მტკიცებითი შუამდგომლობები

| მოწმე | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
|---|---|
| X | |
| ექსპერტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| X | |
| სპეციალისტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| X | |

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

X

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

X

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

X

## სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

X

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

X

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

**დიახ** ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

**არა** ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ** ☐ მორიგების პირობები:

**არა** ☒ რადგან

შენიშვნა-30

## თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-31 შენიშვნა-32

დანართი: 1. ა(ა)იპ-მწვანე ალტერნატივის 2018 წლის 23 ივლისს წარმოდგენილი N23803 ადმინისტრაციული საჩივარი დანართით.

ფურცლების საერთო რაოდენობა: 27

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

*შენიშვნა-33*

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

*შენიშვნა-34*

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

*შენიშვნა-35*

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

*შენიშვნა-36*

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან

*შენიშვნა-36*

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი, გვარი | შევსების თარიღი |
|---|---|---|
| [signature] | ლალი თევდორაშვილი | 27.12.2018 |

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge